ინკლუზიური და ხარისხიანი საპოლიციო მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის:

მოქმედების 10 სფერო

DIGNITEM

Disability Accessibility
Special Envoy
UN-SG

ინკლუზიური და ხარისხიანი საპოლიციო მომსახურება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის: მოქმედების 10 სფერო

© Dignitem Foundation

ISBN: 978-956-404-329-6

First English Edition:

July 2021 Santiago, Chile

პუბლიკაცია ითარგმნა და გამოიცა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მიერ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (UN SDG Fund) ფინანსური მხარდაჭერით. მასში მოცემული მოსაზრებები ავტორისეულია და ის შესაძლოა არ ასახავდეს სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის შეხედულებებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ სხვების თანასწორად საკუთარი უფლებებით სარგებლობას აფერხებს, ზღუდავს და აბრკოლებს შემხვედრი ბარიერები, რაც იწვევს მათი ღირსების უფლების დარღვევას. ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის საერთაშორისო სისტემამ ამ რეალობასთან დაკავშირებული გამოწვევის დაძლევა დაიწყო მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციამ (CRPD ან „კონვენცია“) შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მოდელის სახით დაამკვიდრა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. აღნიშნული მოდელი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის ურთიერთქმედებას გარემო ბარიერებთან, რაც ხელს უშლის ან აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად, სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულება და პრიორიტეტია, აღმოფხვრას ბარიერები და შექმნას პირობები თანაბარი შესაძლებლობებისთვის. თუმცა, საზოგადოების ამ პროცესში საზოგადოების წვლილიც მნიშვნელოვანია.

კონვენციის პირველი მუხლი განსაზღვრავს მის მიზანს „ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა“. ამასთან, იქვე აღნიშნულია, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს პირის

სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

ამ კონტექსტში, სხვადასხვა გარემოებასა და რანგში, ისევე როგორც საპოლიციო სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების პროცესში, საპოლიციო პროცედურების[1] მისაწვდომობა ყველა ბარიერის მოხსნას მოითხოვს. ამიტომ, კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლები რომლებიც ეხება მართლმსაჯულების მისაწვდომობასა და პიროვნების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოები მიიღებენ ზომებს ამ უფლებებით სრულად სარგებლობისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად.

ამ ზომებიდან რამდენიმე მოითხოვს გონივრულ მისადაგებას. ეს უკანასკნელი გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

1 ამ ტექსტის მიზნებისთვის „პროცედურები“ მოიცავს პოლიციის უფლებამოსილებაში შემავალ ნებისმიერ საქმიანობასა და მომსახურებას.

პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას. კონვენციის თანახმად, გონივრულ მისადაგებაზე უარი წარმოადგენს დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხარისხიანი ინკლუზიური საპოლიციო სერვისების მისაწოდებლად აუცილებელია მინიმალური სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, მათ შორის პროცედურების და გონივრული მისადაგების, შემუშავება, განხორციელება და შეფასება.

ზემოაღნიშნულის მიზანია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეძლონ თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზება და სხვებთან თანასწორად ჰქონდეთ წვდომა საპოლიციო პროცედურებზე.

ხარისხიანი ინკლუზიური რეაგირებისთვის მთავრობებმა, საკანონმდებლო და ხელისუფლების სხვა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მომუშავე პირთა, მათ შორის პოლიციის პერსონალის, ადეკვატურ მომზადებას. ამ სექტორის მომზადების პროცესის მხარდასაჭერად შემუშავდა საოპერაციო სახელმძღვანელო წესები საქმიანობის ათ სფეროში, რომლებსაც შემდეგი მიზნები აქვთ.

1
პოლიციელების წახალისება, რომ მათ აღიარონ და პატივი სცენ შშმ პირთა ყველა უფლებასა და ფუნდამენტურ თავისუფლებას
2
ადამიანის უფლებების კუთხით პოლიტიკის მიერ შშმ პირთა სატანადო მოპყრობის ხელშეწყობა
3
პოლიციასთან უერთიერთობისას შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა
4
მისაწვდომობის სტრატეგიების შექმნა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობა სხვებთან თანასწორად
5
შეიქმნას მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა ყველა უფლების დაცვას
6
შესაბამისი ორგანიზაციის წახალისება სხვებთან თანასწორად გამართოს კონსულტაციები შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან შშმ პირებთან დაკავშირებული ზომების მიღებისას
7
მოქმედების, შეფასების და ანგარიშვალდებულების ჩარჩოს შექმნა

სახელმძღვანელო წესები:

ქვემოთ წარმოდგენილი სახელმძღვანელო წესები შეეხება მოქმედების ათ მიმართულებას, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს საპოლიციო საქმიანობა:

1. **ცნობიერების ამაღლება**
2. **ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომა**
3. **პოლიციის შენობაზე თავისუფალი წვდომა**
4. **შშმ პირებსა და პოლიციელებს შორის ურთიერთობა ქალაქებსა და სხვა დასახლებებში**
5. **შშმ პირების კრიზისული სიტუაცია**
6. **საგანგებო სიტუაციები**
7. **სამართალდაცვის სიტუაციები**
8. **დანაშაულები**
9. **სასაზღვრო პატრულირების მომსახურება**
10. **პოლიციის საგანმანათლებლო როლი ინსტიტუციისა და საგადოებისთის**

1 ცნობიერების ამაღლება

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და თანდაყოლილი ღირსების პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით აამაღლეთ მათ შესახებ ცნობიერება საზოგადოებაში, მათ შორის ოჯახში.

ბ) მიიღეთ დაუყოვნებელი, ეფექტური და სათანადო ზომები ეიბლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. რომელიც წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციას ან ცრურწმენას, რომელიც სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და ბარიერების ხელშემწყობი ქცევის შესატყვისია.

გ) აღიარეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა მრავალფეროვნებისა და ადამიანის მდგომარეობის ნაწილია.

დ) სტერეოტიპებით, ცრურწმენებითა და მავნე პრაქტიკით გამოწვეული ბარიერების დასანგრევად ხელი შეუწყვეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობების, დამსახურებისა და უნარების აღიარებას, ასევე პოზიტიური აღქმის გაუმჯობესებასა და სოციალური ცნობიერების ამაღლებას.

ე ხელი შეუწყვეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წვდომას დამხმარე ადამიანებზე ან ცხოველებზე და შუამავლებზე, მათ შორის გიდებზე, მკითხველებსა და პროფესიონალ სურდო თარჯიმნებზე, როგორც პოლიციის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვ უზრუნველყავით ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციებზე, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და სისტემებზე, ასევე სხვა ობიექტებსა და სერვისებზე, უნივერსალური მისაწვდომობა როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში; ასევე პოლიციის დაწესებულებაში ყველა სახის მისაწვდომობა.

ზ გაატარეთ ყველა შესაბამისი ღონისძიება პოლიციის მომსახურების გაწევისას გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, განახორციელეთ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციები და კორექტივები, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს, როცა ეს საჭიროა პოლიციის პროცედურისთვის კონკრეტულ შემთხვევაში. გაითვალისწინეთ, რომ გონივრულ მისადაგებაზე უარი მიჩნეულია, დისკრიმინაციად შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

თ ჩაერთეთ მჭიდრო კონსულტაციებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, როგორც თემთან მუდმივი თანამშრომლობის ფორმატში.

2 ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა

ა) მიაწოდეთ ინფორმაცია საზოგადოებას და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს პოლიციის როლის შესახებ.

ბ) ხელი შეუწყვეთ და წაახალისეთ ჟესტური ენისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო სისტემის გამოყენებას, როგორიცაა ბრაილი, დამატებითი და ალტერნატიული კომუნიკაციის რეჟიმები, საშუალებები და ფორმატები.

გ) მიიღეთ ყველა საჭირო ზომა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც გამოწვეულია კომუნიკაციის დროს ზოგიერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის წინაშე არსებული ბარიერებით.

დ) ხელი შეუწყვეთ ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას გასაგები და მისაწვდომი კომუნიკაციის წასახალისებლად.

ე) სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის შექმენით პოლიციის ვებგვერდის და ინსტიტუციური სოციალური ქსელების მისაწვდომი დიზაინი, განავითარეთ და ხელი შეუწყვეთ მის მომზადებას.

ვ თავიდან აიცილეთ და აღკვეთეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საქველმოქმედო ხასიათის მოპყრობა.

ზ აღმოფხვერით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფანტილიზაცია, რადგან შესაძლებელია მათი ისტორია/გამოცდილება დარჩეს უხილავი და განუხილველი. პოლიციის პერსონალმა ყოველთვის უნდა მიმართოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს პირდაპირ, თუნდაც თანმხლები პირი იყოს მასთან ერთად.

თ წაახალისეთ პოლიციის პერსონალის მიერ აქტიური მოსმენის მეთოდის გამოყენება, რათა ოფიცრებმა ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ გაიგონ, რისი გადმოცემა სურს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს და მისცენ მას საჭირო დრო ამისთვის.

ი პოლიციის საპოლიციო განხორციელებისას უზრუნველყავით და დარწმუნდით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა გაიგო თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

კ ჩამოაყალიბეთ მექანიზმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადამიანის დახმარების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა მკითხველები, პროფესიონალი სურდო თარჯიმნები, იურიდიული და საპროცედურო სფეროს ექსპერტები.

ლ უზრუნველყავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის გონივრული მისადაგება, როცა იგი მოითხოვს ან საჭიროა პოლიციის პერსონალთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლა. ეს განსაკუთრებით აქტუალური იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც პოლიციელს არ ესმის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის და არ გამოიყენება კომუნიკაციის ყველაზე ცნობილი დამატებითი ან ალტერნატიული საშუალებები, რეჟიმები ან ფორმატები. პოლიციის ოფიცერმა არ უნდა მიიჩნიოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ მისთვის უცნობი კომუნიკაციის და განსხვავებული ფორმის გამოყენება დაკავშირებულია სასმელის ან ნარკოტიკების ზემოქმედებასთან.

მ უზრუნველყავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების მისაწვდომობა ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში არსებულ ინფორმაციასა და სერვისებზე; აღნიშნული გულისხმობს, რომ ინფორმაცია და სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყრუ ქალებს, რომლებიც ძირითადად ჟესტურ ენას იყენებენ.

ნ წაახალისეთ პოლიციის თანამშრომლები, რომ მათ გაიარონ ჟესტური ენის საბაზისო ტრენინგი, მაგალითად, ყრუ პირთან პირველი ურთიერთობისას გამოსაყენებლად, სანამ საჭიროების შემთხვევაში თარჯიმანი მოვა.

ო

უზრუნველყავით ყრუ პირებისთვის სურდო თარჯიმნის მომსახურება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს თარგმანის ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. ამ კუთხით ოპტიმალური იქნება პროფესიონალი სურდო თარჯიმნის ყოლა.

პ

ჩამოაყალიბეთ და დანერგეთ ყრუ პირთათვის კომუნიკაციის სხვადასხვა სისტემა, როგორიცაა ტექსტური შეტყობინებები, ვიდეო ზარები ჟესტური ენის თარგმანით, დოკუმენტების თარგმნა ჟესტურ ენაზე, რათა მათ შეძლონ პოლიციის პერსონალთან კომუნიკაცია.

ჟ

მიაწოდეთ არსებული ინფორმაცია აუდიო და ბრაილის შრიფტით, რათა მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებმა შეძლონ კომუნიკაცია პოლიციის პერსონალთან.

რ

ხელი შეუწყვეთ ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთათვის ინფორმაციის მარტივ ენაზე გადაცემას მისაწვდომი დოკუმენტების გზით.

ს

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებთან ურთიერთობისას მხარი დაუჭირეთ სიტყვიერი და/ან წერილობითი ენის სურათებით ან პიქტოგრამებით გამოხატვას.

ტ

ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებთან ურთიერთობისას გამოიყენეთ ღია კითხვები; არ გამოიყენოთ კითხვები და მიმთითებელი კომენტარები.

3 პოლიციის შენობაზე თავისუფალი წვდომა

ა

დაწესებულებებში გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის ყველა ასპექტი როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. ამ მიზნით გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. შესაფერისი განათება მცირემხედველი (low vision) პირებისთვის.
2. გამაფრთხილებელი ლენტი, განსაკუთრებით კიბის საფეხურებზე მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის.
3. სხვადასხვა სიმაღლის მომსახურების მაგიდები მათ შორის დაბალი სიმაღლის, ჩონჩხის დისპლაზიის მქონე და ეტლით მოსარგებლე პირებისთვის.
4. პანდუსი ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთათვის.
5. ეტლით მოსარგებლე პირისთვის შესაფერისი კარი.
6. მისაწვდომი ჰიგიენური სერვისების არსებობა; უნიტაზი ეტლის სიმაღლეზე დასაკეცი საყრდენი ზოლით და თავისუფალი ადგილი მის გარშემო; ხელსაბანის წინ უნდა იყოს საკმარისი სივრცე ეტლისთვის, ონკანი უნდა იყოს ადვილად სამართავი და გადაადგილებისთვის სივრცის რადიუსი უნდა იყოს 1,5 მ.

7 პოლიციის დაწესებულების საბაზანო ან სხვა ოთახში უნდა იყოს ლოგინი, დასაკეცი გორგოლაჭებიანი საწოლი ან სხვა მსგავსი მოწყობილობა, რათა ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ქალებმა შეძლონ თავიანთი ფიზიოლოგიური ფუნქციების სათანადოდ შესრულება.

ბ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ყოველთვის მოექეცით მისი ღირსების დაცვით შენობაში შესვლისას და გადაადგილებისას.

გ უზრუნველყავით კომფორტული და უსაფრთხო სივრცეები, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ჩვენების კონფიდენციალურად მიცემა საჩივრის წარდგენისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სურს ჩვენების საჯაროდ მიცემა.

დ შენობებსა ან სხვა დაწესებულებებში წარწერები უნდა იყოს ბრაილის შრიფტით, რომელიც იქნება ადვილად წასაკითხი და გასაგები.

ე მოთხოვნის შემთხვევაში, მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებს მიეცით ორიენტაციისა და გადაადგილების ინსტრუქციები, ისე, რომ ის გარემოს და განსახორციელებელ პროცედურებს აღწერდეს; ასევე აუცილებელია პირისთვის შესაბამისი ინფორმაციის, საჩივრების, ჩანაწერების ან სხვა ხელმოსაწერი დოკუმენტების ხმამაღლა წაკითხვა. გასათვალისწინებელია, რომ უსინათლოთა უმეტესობა ხელს აწერს დოკუმენტებს.

3 უზრუნველყავით მობილური ან კომპიუტერული მოწყობილობების საშუალებით დისტანციური ვიდეო ზარით ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურების არსებობა, პოლიციის დაწესებულებებში ყრუ პირთა მომსახურებისთვის.

4 პოლიციასთან ურთიერთობა ქალაქსა და სხვა დასახლებებში

4.1 ზოგადი სახელმძღვანელო წესები

ა აღიარეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მრავალფეროვნება. ამ მიზნით აუცილებელია პოლიციელებს ჰქონდეთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ისარგებლონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა თავიანთი უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სრულყოფილად. ასევე აუცილებელია ხელი შეუწყოთ და დაიცვათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას და შეიმუშაოთ შესაბამისი ადაპტაციისა და მოქნილობის სტრატეგიები მრავალფეროვნებასთან მიმართებით.

ბ ხელი შეუწყვეთ და გააძლიერეთ პოლიციელებს შორის თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან სწორი ურთიერთობის, მისი შესაძლებლობებისა და ღირებულების აღიარების მიზნით, რათა აღმოიფხვრას ღირებულებათა განსხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დისკრიმინაცია.

გ შექმენით გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სიცოცხლისა და ქონების დასაცავად; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ისეთ ტექნიკურ დახმარებას, როგორიცაა ეტლები, ორთოპედიული ხელჯოხები, უსინათლოთა ხელ-

ჯოხები და სმენის აპარატები ან ტელეფონები, რომლებიც ხელს უწყობს ყრუ და აფაზიის მქონე პირების კომუნიკაციას. პოლიციის თანამშრომლებმა არ უნდა ჩამოართვან ან არ უნდა მოახდინონ ტექნიკური საშუალებების კონფისკაცია, თუ პირი იყენებს მათ.

დ უზრუნველყავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ქმედუნარიანობის განხორციელების და ავტონომიის სრული პატივისცემა სხვებთან თანასწორად.

ე ხელი შეუწყვეთ კარგი მომსახურების გაწევას იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რომლებიც მიდიან პოლიციის განყოფილებაში, კეთილმოსურნე და ემპათიური მოპყრობის გზით.

ვ აღიარეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება აღმოჩნდნენ სიტუაციებში, რომლებიც არღვევს მათ უფლებებს ან როდესაც შეიძლება მათ მიმართ განხორციელდეს ძალადობა; ამიტომ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს უპირატესი მოპყრობა მათი შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ზ გაუმჯობესეთ და ხელი შეუწყვეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დანაშაულის შეტყობინების საკომუნიკაციო არხებს.

თ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უზრუნველყავით აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა უსაფრთხო გარემოში.

ი პოლიციის ოფიცერს უნდა მოსთხოვოთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მეგობრულად წარუდგინოს თავი და მოახდინოს თავის იდენტიფიცირება სახელისა და წოდების დასახელებით.

კ უზრუნველყავით, რომ პოლიციელებმა დაამყარონ უშუალო კონტაქტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან. ეს ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის პირდაპირ მიმართვას და არა მისი თანმხლები პირისთვის ან თარჯიმნისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში,.

ლ წაახალისეთ პოლიციის თანამშრომლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური მოსმენა.

მ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს განუმარტეთ სიტუაცია, რომელშიც ის იმყოფება, და განსახორციელებელი პროცედურა.

ნ წაახალისეთ ინკლუზიური ენის გამოყენება; თავიდან აირიდეთ ავტორიტარული ან ინფანტილისტური მოპყრობა; ასევე დაუშვებელია მოუქნელი პოზიციები და დიალოგზე უარის თქმა.

ო უზრუნველყავით და დარწმუნდით, რომ ოფიცერი ინფორმაციას გადმოსცემს მკაფიოდ და ზუსტად, ყოველდღიური ლექსიკით და ტექნიკური ჟარგონის გარეშე.

პ საპოლიციო პროცედურის განხორციელებისას დარწმუნდით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა გაიგო პოლიციის თანამშრომლების მიერ მისთვის მისაწვდომი ფორმით გადაცემული ინფორმაცია.

ჟ დაუთმეთ საკმარისი დრო სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და პოლიციის პერსონალს შორის ურთიერთობას. საკმარისი დრო განიმარტება, როგორც დრო, რომელიც საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის პოლიციაში პროცედურების განსახორციელებლად.

რ ხელი შეუწყვეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კარგ მოპყრობას მაშინაც კი, თუ მათ ჩაიდინეს დანაშაული.

ს ჰკითხეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, სურს თუ არა ოჯახის წევრს ან ნაცნობს შეატყობინოს მასთან დაკავშირებული სიტუაცა.

ტ წაახალისეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან პოლიციის თანამშრომლების პატრულირება და ურთიერთობა ქალაქის მიმდებარე და შორეულ რაიონებში, სადაც შეიძლება აღმოჩნ-

დნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებსაც ესაჭიროებათ პოლიციის თანამშრომლების დახმარება ან მხარდაჭერა.

უ დეტალურად მიუთითეთ ის ადგილები, სადაც გექნებათ ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, პოლიციის დაწესებულებებში ან მის გარეთ, მაგალითად: „ჩვენ ვართ ქალაქის მოედანზე, ახლა ვაპირებთ პოლიციის მანქანაში ჩაჯდომას და პოლიციისკენ გამგზავრებას თქვენი განცხადების მოსასმენად“.

ფ შექმენით თანამშრომლებსა და სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ურთიერთობის შესაძლებლობა, რათა განმტკიცდეს პოლიციელების ცოდნა მრავალფეროვნების შესახებ.

ქ იცოდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები და ინსტიტუციები თქვენი უფლებამოსილების ტერიტორიაზე, რათა ერთობლივად იმუშაოთ შესაბამის ქსელებსა და კონკრეტული რეფერირების სისტემაში.

4.2 შეზღუდული შესაძლებლობის თავისებურებაზე მორგებული სახელმძღვანელო წესები

ა გააცნობიერეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთაც ეხმარებიან მეგზური ძაღლები, იყენებენ ხელჯოხს, ეტლს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს, არ უნდა განაცალკევოთ მათგან არც მანქანაში და არც პოლიციის განყოფილებაში.

ბ სათანადოდ მოეპყარით ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებს მათი განცხადების შინაარსის გათვალისწინებით.

გ აღიარეთ, რომ ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირები არ არიან „საშიში“. ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირის მიერ ბრაზის ან დისკომფორტის გამოვლენა კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, როგორიცაა იმედგაცრუება, ან რაიმე უარყოფითი სტიმული და არ იყოს შეზღუდული შესაძლებლობის თანდაყოლილი მახასიათებელი. ნებისმიერმა შეიძლება გამოხატოს უკმაყოფილება მისთვის არასასიამოვნო სიტუაციაში. ამიტომ მცდარი წარმოდგენები, ცრურწმენები და სტერეოტიპები გარკვეული ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ უნდა დაინგრეს. პოლიციელმა ყოველთვის უნდა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულ ადამიანს ჰქონდეს სიმშვიდისა და უსაფრთხოების განცდა.

დ პოლიციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობისას ყოველთვის უნდა დაიცვას და ხელი შეუწყოს მათ თანდაყოლილ ღირსებას, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს დაცვისა. ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებს ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას კარგად უნდა მოეპყრათ.

ე ჰკითხეთ უსინათლო ან მცირემხედველ პირს სჭირდება თუ არა მითითებების მიცემა ან დახმარება გადაადგილებისას, რათა ოფიცერი ზედმეტად არ ჩაერიოს, ან არ შეაწუხოს იგი; თუ უსინათლო ადამიანი აპირებს ქუჩის გადაკვეთას, პოლიციელმა უნდა ჰკითხოს, სჭირდება თუ არა დახმარება და რა სახის.

ვ სიტყვიერად გააფრთხილეთ და მიეცით მითითებები უსინათლო ან მცირემხედველ პირს კიბეებზე, საფეხურებზე ან პანდუსებზე ასვლის ან ჩამოსვლისას. გახსოვდეთ, რომ ყოველთვის უნდა ჰკითხოთ უსინათლო პირს, სჭირდება თუ არა დახმარება. არ ჩაეჭიდოთ იმ ხელზე, რომლითაც ხელჯოხი უჭირავს, რადგან ეს არის მათი უსაფრთხო გადაადგილების ინსტრუმენტი. ესკალატორებით ან კონვეიერებით სარგებლობისას, პოლიციელმა უნდა ჰკითხოს უსინათლო პირს, მოკიდოს თუ არა ხელი, ურჩევნია მარჯვენა თუ მარცხენა ხელით ჩაეჭიდოს სახელურს; პოლიციელი უნდა დაეხმაროს ამ პირს, რომ ხელი მოაკიდებინოს სახელურზე, თუ მას სურს. გარდა ამისა, ოფიცერმა უნდა აუხსნას ესკალატორი ზემოთ ადის თუ ქვემოთ. მას შემდეგ, რაც

უსინათლო პირი მოექცევა მოაჯირს, მას შეუძლია დადგეს მოძრავ საფეხურზე ან ესკალატორზე. როდესაც ესკალატორი თითქმის სრულდება, ოფიცერმა უნდა აცნობოს პირს, რომ ისინი თითქმის ესკალატორის ბოლოში არიან.

ზ აცნობეთ მხედველობის შეზღუდვის მქონე პირს, როდის დასჭირდება ლიფტის გამოყენება; ყოველთვის სიტყვიერად შეატყობინეთ და უთხარით, როდის გაიხსნება ლიფტის კარი შესასვლელად. თუ ლიფტს აქვს ბრაილის ნომრები, პოლიციის ოფიცერმა უნდა აცნობოს პირს, რათა მან შეძლოს გამოყენება.

თ აღარეთ, რომ ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ უფლება, წარადგინონ საჩივრები სხვების თანასწორად, მათი ისტორიის დისკრედიტაციის გარეშე; მათი ისტორიის დისკრედიტაციამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიციის პერსონალის მხრიდან არასათანადო პროცედურების გამოყენება და არასათანადო მოპყრობა.

ი დანერგეთ ფიჭურ მოწყობილობებში კონკრეტული ტელეფონის ნომრები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ყრუ პირთათვის ვიდეო ზარებით დახმარების გაწევის მიზნით იმგვარად, რომ პოლიციის თანამშრომლებმა დაუყოვნებლივ უპასუხონ ყრუ პირებს და დაიწყონ შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კრიზისული სიტუაციები

ა ხელი შეუწყეთ და განავითარეთ სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცოდნა მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველსაყოფად. გახსოვდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა გამოხატავს ადამიანის მრავალფეროვნებას. ერთი და იმავე ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის არსებობისასაც კი შეიძლება, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ.

ბ კრიზისულ სიტუაციებში შექმენით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყველა უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვის გარანტები.

გ პატივი ეცით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივ ქმედუნარიანობას, ავტონომიას, ნებასა და არჩევანს, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტილებების თავად მიღება; მოთხოვნის შემთხვევაში, გაუწიეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს საჭირო დახმარება.

დ დარწმუნდით, რომ თქვენი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა სრულად არის დაცული; კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, მიიღეთ სასწრაფო ზომები სამედიცინო დახმა-

რების გასაწევად; ამასთან, ყოველთვის გაითვალისწინეთ პირის თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობა.

ე გააძლიერეთ პოლიციის ინსტიტუციური მექანიზმები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგოებს, რომლებიც არიან ძალადობის, ოჯახური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მარტივად შეეძლოთ საჩივრების წარდგენა უსაფრთხო და კონფიდენციალურ გარემოში, სასჯელისა და შურისძიების შიშის გარეშე.

ვ დაამტკიცეთ და ხელი შეუწყვეთ პოლიციის თანამშრომლების მიერ ყოვლისმომცველი და მხარდამჭერი მიდგომის, მათ შორის მისაწვდომი მოწყობილობების, გამოყენებას, რათა მათ რეაგირება მოახდინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმაზე.

ზ დარწმუნდით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა თავად წარმოადგინოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება; არ აიძულოთ, რომ მესამე მხარე გამოიყენოს ამისთვის. ყრუ პირებთან ურთიერთობისას გაითვალისწინეთ, რომ მათ აქვთ უფლება აირჩიონ სურდო თარჯიმანი დამოუკიდებლად, რომელიც შეიძლება არ იყოს ნათესავი.

თ ჩაიწერეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჩივრები და ჩვენებები ამომწურავად, საი-

მედოდ და სრულად, მათი ამბის ინტერპრეტაციის გარეშე. ყრუ პირების შემთხვევაში, მათი თანხმობით, ჩაწერეთ ამბავი ჟესტურ ენაზე, რათა ის გადაეცეს დარგის ექსპერტს, თუ საჭიროა ჩვენების დადასტურება.

ი ხელი შეუწყვეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათანადოდ მოპყრობას კრიზისულ სიტუაციებში ან დეკომპესაციის ეპიზოდებში, დაიცავით მათი, განსაკუთრებით ინტელექტუალური ან ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირების უფლებები, ძალის გამოყენების ან თვითნებური დაპატიმრებების გარეშე.

კ აღარეთ, რომ ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ უფლება, წარადგინონ საჩივრები სხვებთან თანასწორად, მათი ისტორიის დისკრედიტაციის გარეშე; მათი ისტორიის დისკრედიტაციამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიციის პერსონალის მხრიდან არასათანადო პროცედურების გამოყენება და არასათანადო მოპყრობა, მაგალითად, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რამაც შეიძლება მსხვერპლი კვლავ ჩააყენოს სარისკო სიტუაციაში.

ლ უზრუნველყავით, რომ პოლიციის პერსონალმა დროული დახმარება აღმოუჩინოს ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებს, რომლებსაც აქვთ დეკომპენსაციის ეპიზოდები.

8 უზრუნველყავით, რომ ყრუ პირებისთვის, რომლებიც მოხვდნენ საგზაო ან სხვა უბედურ შემთხვევებში, სურდო თარჯიმანი ხელმისაწვდომი იყოს პირადად ან დისტანციურად, შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.

6 საგანგებო სიტუაციები

ა მიიღეთ ყველა შესაძლო ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად სარისკო სიტუაციებში, მათ შორის, სტიქიური უბედურებების, ჰუმანიტარული, საგანგებო სიტუაციებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

ბ მხარი დაუჭირეთ და ხელი შეუწყვეთ პოლიციელების ძალისხმევას, იზრუნონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ისეთ სიტუაციებში, როგორიცაა პანდემია, მიწისძვრა, წყალდიდობა; პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პირებს, ვინც სიღარიბეში ან ინსტიტუციურ დაწესებულებაში ცხოვრობს. ამასთან, გაითვალისწინეთ სქესთან, ბავშვობის ასაკსა და ხანდაზმულობასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

გ საგანგებო სიტუაციის დროს ხელი შეუწყვეთ და წაახალისეთ სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და პოლიციის პერსონალს შორის დროულ და უწყვეტ დისტანციურ კომუნიკაციას, მათ შორის კომუნიკაციის ყველა ტექნოლოგიური საშუალების გამოყენებით, როგორიცაა ტელეფონი და ვირტუალური კომუნიკაციის საშუალებები.

დ ჰუმანიტარული საგანგებო სიტუაციების და სტიქიური უბედურებების დროს დროულად და უწყვეტად

გაავრცელეთ ინფორმაცია მისაწვდომ ფორმატში, მათ შორის საინფორმაციო ვიდეოები ჟესტურ ენაზე და აუდიო აღწერა, პოლიციის დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომი მედიის საშუალებით (რადიო, ვებგვერდები, სოციალური ქსელები ან სხვა), რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი.

ე ხელი შეუწყვეთ და წაახალისეთ მისაწვდომი ვებგვერდების, მათ შორის ჟესტურ ენაზე საინფორმაციო ვიდეოების, უსინათლო პირებისთვის აუდიო აღწერილობის, ხოლო მცირემხედველთათვის ეკრანზე კონტრასტის რეგულირების დიზაინის შექმნას, განვითარებასა და გაშვებას. ამ ინფორმაციის მისაწვდომობა გაუადვილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვადასხვა მომსახურების მოთხოვნას, როგორიცაა დროებითი ნებართვები ან უსაფრთხო ქცევის საშვი კარანტინის დროს, „ვირტუალური პოლიციის განყოფილების“ მეშვეობით.

ვ ხელი შეუწყვეთ უსაფრთხო ქცევის საშვის ან ნებართვების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მზრუნველი/მხარდამჭერი პირების მიერ ამ საბუთების მიღებას.

ზ მოქნილი მიდგომა გამოიყენეთ საგანგებო მდგომარეობის მოთხოვნების აღსრულებისას, როდესაც იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინსპექტირებას ახორციელებთ, რომლებიც იმყო-

ფებიან საზოგადოებრივ ადგილებში კომენდანტის საათის დროს, იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულეები აქვთ გადაადგილებისას ფიზიკური და მხედველობის შეზღუდვების მქონე პირებს. პოლიციელებმა უნდა მიმართონ ყრუ პირს, პირისპირ და არა ზურგს უკან.

თ საგანგებო სიტუაციებში, ჩვეულებრივ გამოყენებული რესურსების გარდა განიხილეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ყურადღების მიქცევის სხვადასხვა გზა, , შეზღუდული შესაძლებლობის ტიპის გათვალისწინებით. მაგალითად, მხარზე შეხება ყრუ ან უსინათლო ადამიანებთან ურთიერთობისას. პოლიციელს უნდა ახსოვდეს, რომ პირისპირ უნდა დაუდგეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.

ი დარწმუნდით, რომ როდესაც პოლიციელებს მოეთხოვებათ ნიღბების ტარება პანდემიის, ჰაერის ტოქსიკურობის ან სხვა მიზეზის გამო, ასეთი ნიღბები უნდა იყოს დამზადებული გამჭვირვალე მასალისგან, რათა ხელი შეუწყოს ყრუ პირებთან კომუნიკაციას, რომლებიც კითხულობენ ტუჩების მოძრაობას.

7 სამართალდაცვის სიტუაციები

ა ხელი შეუწყვეთ პოლიციის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას იმის შესახებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ასევე მონაწილეობენ საპროტესტო აქციებში, დემონსტრაციებსა და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის კონტექსტში განხილულ ღონისძიებებში.

ბ გაითვალისწინეთ, რომ საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა ასევე გულისხმობს, პოლიციის მიერ უსაფრთხოების ზომების მიღებას იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანისგან, რომლებიც მონაწილეობენ პოლიტიკურ ან/და სოციალურ დემონსტრაციებში. ამასთან, პოლიციამ უნდა გამოიყენოს საუკეთესო პრაქტიკა, როგორიცაა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უსაფრთხო ადგილას გადაყვანის შეთავაზება.

გ შექმენით ჰუმანური მოპყრობის გარანტიები, რაც გულისხმობს ადამიანთა თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას დაკავებას ან დაპატიმრებას დაქვემდებარებული ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ.

დ აღმოფხვერით ყოველგვარი თავისუფლების აღკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე.

ე

უზრუნველყავით, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თავისუფლებააღკვეთილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორად ჰქონდეთ ყველა გარანტია.

ვ

უზრუნველყავით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სრული დაცვა; მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, მიიღეთ სასწრაფო ზომები სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად,.

ზ

დაკავებული ან დაპატიმრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დაუყოვნებლად უნდა წარუდგინოთ მოსამართლეს, რათა მოსამართლემ გადაწყვიტოს მისი დაკავების კანონიერების საკითხი.

თ

აღმოფხვერით ნებისმიერი ქცევა, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ჩადენას, წაქეზებას ან შემწყნარებლობას.

ი

უზრუნველყავით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე წვდომა სხვებთან თანასწორად, რათა მათ შეძლონ პირდაპირ ან არაპირდაპირ ეფექტური მონაწილეობა მიიღონ პროცესში ან პროცედურებში, მათ შორის, როგორც მოწმეებმა.

კ გააძლიერეთ პოლიციის დაწესებულების უსაფრთხოების ქსელები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაცავად, რომლებიც მონაწილეობენ საჯარო დემონსტრაციებში; საჭიროების შემთხვევაში შექმენით ახალი ქსელები.

ლ პატივი ეცით და უზრუნველყავით საჯარო დემონსტრაციებში მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, მათი მუდმივად მისაწვდომობის უზრუნველყოფით; მაგალითად, ეტლები და უსინათლოთა ხელჯოხი.

მ გარდა ჩვეულებრივ გამოყენებული საშუალებებისა, განიხილეთ საზოგადოებრივი არეულობის კონტექსტში მყოფი პირების ყურადღების მიპყრობის სხვადასხვა გზის გამოყენება,; ამ პროცესში გაითვალისწინეთ სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა. მაგალითად, მხარზე შეხება ყრუ ან უსინათლო ადამიანებთან ურთიერთობისას. პოლიციელს უნდა ახსოვდეს, რომ დადგეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის წინ.

ნ პოლიციელებს განუვითარეთ უნარ-ჩვევები, რომელებიც საშუალებას მისცემს მათ ამოიცნონ და სწორად ითანამშრომლონ ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებთან, რათა დაიცვან ეს ადამიანები ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანისგან.

8 დანაშაულები

ა. სიტუაციები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სავარაუდო მსხვერპლია

1. დაიცავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანისგან.
2. პატივი ეცით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივ ქმედუნარიანობასა და დამოუკიდებლობას, მათ შორის საჭირო მხარდაჭერით, როდესაც ამას მოითხოვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რათა მათ შეძლონ გადაწყვეტილებების თავად მიღება,.
3. უზრუნველყავით ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, დაზარალებულის აქტიურად მოსმენა და მისი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის დაცვა.
4. უზრუნველყავით სურდო თარჯიმნებზე ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიური მოწყობილობების, ბრაილის შრიფტის, აუდიოს, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის რეჟიმების, საშუალებებისა და ფორმატების გამოყენება, რათა ხელი შეუწყოთ დანაშაულის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჩივრების მიღებას.

5 წაახალისეთ საჩივრების წარსადგენად ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, როგორებიცაა ვიდეო ზარები, ტექსტური შეტყობინებები, ინტერაქტიული „ჩეთი“ და ვებგვერდები, განსაკუთრებით ოჯახში ან გენდერული ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომლებმაც უნდა მიიღონ სათანადო ყურადღება პოლიციის თანამშრომლებისგან და დაიწყონ შესაბამისი პროცედურები.

6 დაამტკიცეთ და ხელი შეუწყვეთ ყოვლისმომცველი და მხარდამჭერი მიდგომის გამოყენებას იმ პოლიციის თანამშრომლების მიერ, რომლებიც რეაგირებას ახდენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყველა ფორმაზე.

7 გააძლიერეთ პოლიციის ინსტიტუციური მექანიზმები, რათა ძალადობის, ოჯახური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგოებს, რომლებიც არიან მარტივად შეეძლოთ საჩივრების წარდგენა უსაფრთხო და კონფიდენციალურ გარემოში, სასჯელისა და შურისძიების შიშის გარეშე.

8 გააძლიერეთ პოლიციის დაწესებულების უსაფრთხოების ქსელები დანაშაულის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაცავად; საჭიროების შემთხვევაში შექმენით ახალი ქსელები.

9 უზრუნველყავით კომფორტული და უსაფრთხო სივრცეები, სადაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ჩვენების კონფიდენციალურად მიცემა საჩივრის წარდგენისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს სურს ჩვენების საჯაროდ მიცემა.

10 უზრუნველყავით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა სრულად წაიკითხოს საჩივარი ან მიცემული ჩვენებები პოლიციის თანამშრომლების ინტერპრეტაციის გარეშე; ყოველთვის გაითვალისწინეთ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ფორმატების მისაწვდომობა.

11 აღიარეთ, რომ ფსიქოსოციალური შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ უფლება, წარადგინონ საჩივრები სხვების თანასწორად, მათი ისტორიის დისკრედიტაციის გარეშე; მათი ისტორიის დისკრედიტაციამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიციის პერსონალის მხრიდან არასათანადო პროცედურების გამოყენება და არასათანადო მოპყრობა.

ბ. სიტუაციები, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სავარაუდოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში (დამნაშავე, თანამზრახველი ან დამხმარე)

1. ხელი შეუწყვეთ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ღირსების სათანადო პატივისცემას, როდესაც ეს პირი ექვემდებარება დაკავებას ან დაპატიმრებას.

2. აღმოფხვერით ნებისმიერი პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თვითნებურ დაკავებას.

3. გაითვალისწინეთ, რომ პოლიციის პერსონალისთვის პირის შეზღუდული შესაძლებლობა არ უნდა გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან დამნაშავედ შერაცხვის საფუძველი წინასწარი განწყობის ან სტერეოტიპების გამო.

4. უზრუნველყავით, რომ დაკავებულ პირს უფლებები გააცნოთ ჟესტური ენის თარგმანის, ბრაილის შრიფტის, აუდიო ჩანაწერის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული კომუნიკაციის რეჟიმების, საშუალებებისა და ფორმატების გამოყენებით ან სხვა მისაწვდომი ფორმატებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ენობრივ ავტონომიას.

5 დარწმუნდით და დაადასტურეთ, რომ პოლიციის თანამშრომელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ინფორმაციას აწვდის გარკვევით და ზუსტად, ყოველდღიური, ინკლუზიური და არა ტექნიკური ლექსიკის გამოყენებით და ყოველთვის არის მისაწვდომი ფორმატი გათვალისწინებული.

6 უზრუნველყავით, პოლიციის მანქანით ეტლით მოსარგებლე პირის უსაფრთხოდ გადაყვანა.

7 აღიარეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე ტექნიკური საშუალებები მათი სხეულის ნაწილია და მას არ უნდა ჩამოართვათ ეს საშუალებები პოლიციის დაწესებულებაში ან სატრანსპორტო საშუალებებშიც კი. მაგალითად: თუ ადამიანი იყენებს ეტლს ან ხელჯოხს.

8 შეამოწმეთ, სჭირდება თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ოჯახის წევრთან ან ნაცნობთან დაკავშირება, რათა აცნობოს მასთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ და უზრუნველყავით ის კომუნიკაციის საშუალებებით.

9 გაითვალისწინეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეიძლება დასჭირდეთ რაიმე სახის მედიკამენტი, რომლის მიწოდება და მონიტორინგი მნიშვნელოვანია.

10 მიეცით დაკავებულ ან დაპატიმრებულ ყრუ პირს ხელების გამოყენების შესაძლებ-ლობა ჟესტურ ენაზე ა კომუნიკაციისთვის. ხელბორკილების დადება ზურგს უკან ყრუ პირს ართმევს ჟესტური ენის საშუალებით კომუნიკაციის უნარს.

9 სასაზღვრო პატრულის მომსახურება

ა) უზრუნველყავით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზღვრის კვეთის უფლება სხვებთან თანასწორად, მათ შორის, გამონაკლისის გარეშე, ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარანტირებით.

ბ) დაამყარეთ კონტაქტი საზღვრისპირა რაიონებში, კუნძულებზე ან ურბანული ცენტრებიდან შორს მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, რათა შესაძლებელი იყოს მათი საჭიროებების დაკმაყოფილება, მათ შორის, არა მხოლოდ საპოლიციო, არამედ პირველადი და გადაუდებელი დახმარების მიწოდება.

გ) აღიარეთ, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლება, გადაკვეთონ საზღვრები სხვებთან თანასწორად; გარეგნობის, ჟესტების, ქცევის, განსხვავებული ენისა და სხვა ასპექტების საფუძველზე ისინი არ უნდა გახდნენ დაუსაბუთებელი ეჭვის ობიექტი.

10 პოლიციის საგანმანათლებლო როლი სისტემის შიგნით და საზოგადოებისთვის

ა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით მოახდინეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხოებისა და დაცვის გათვალისწინება პოლიციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში.

ბ მიიღეთ ყველა შესაძლო ზომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინკლუზიური და ხარისხიანი საპოლიციო მომსახურების უზრუნველსაყოფად, რაც ასევე მოიცავს ადამიანთა მრავალფეროვნების საზოგადოების ნაწილად აღიარებას.

გ მიაწოდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ წარმომადგენლობით ორგანიზაციებს პოლიციის როლის შესახებ ინფორმაცია.

დ მოამზადეთ და ხელი შეუწყვეთ ინფორმაციის მიწოდებას ყველა უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა შეიძლება მოითხოვონ პოლიციის თანამშრომლებისგან.

ე ხელი შეუწყვეთ პოლიციის დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამართალის სუბიექტის გაცნობიერებას, მათი და-

მსახურების, შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებითა და სტერეოტიპების, ცრურწმენებისა და მავნე პრაქტიკის აღმოფხვრით, მათ შორის სქესის, ბავშვობისა და ხანდაზმულობის საფუძველზე.

ვ წაახალისეთ და ხელი შეუწყვეთ საზოგადოებისთვის ინფორმაციისა და განათლების მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიცილონ, ამოიცნონ და შეატყობინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციისა და მათ მიმართ ძალადობის შემთხვევები.

ზ ხელი შეუწყვეთ საზოგადოებისთვის საინფორმაციო მასალის შექმნას, განვითარებას, მომზადებასა და გავრცელებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მათ შორის ვებგვერდების მეშვეობით.

თ გაავრცელეთ და აღიარეთ პოლიციის სამსახურების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის სფეროში შემუშავებული კარგი პრაქტიკა და პოზიტიური ქმედებები, რათა სხვადასხვა განყოფილებამ გაიზიაროს და გამოიყენოს ეს გამოცდილება.

16
მშვიდობა
სამართლიანობა
ძლიერი ინსტიტუციები

ინკლუზიური
და ხარისხიანი
საპოლიციო
მომსახურება
შეზღუდული
შესაძლებლობის
მქონე პირთათვის:

მოქმედების 10 სფერო

ISBN: 978-956-404-329-6
9 789564 043296